კახა შენგელია

კახა კარლოს ძე შენგელია დაიბადა 1970 წლის 21 სექტემბერს, ქ. სამტრედიაში.

ქ. სამტრედიაში წარჩინებით დაამთავრა #3 საშუალო სკოლა.

1988-1993 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარჩინებით.

1989-1992 წლებში სწავლობდა თბილისის ბიზნესის უმაღლესი სკოლაში, ფინანსებისა და საორგანიზაციო მენეჯმენტის სპეციალობაზე, მიიღო ბაკალავრის ხარისხი. პარალელურად მუშაობდა გაზეთი ,,რეზონანსის" რედაქტორის მოადგილედ და საერთაშორისო ახალი ამბების განყოფილების რედაქტორად.

1991-1992 წლებში მუშაობდა საქართველოს შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში, დირექტორის ასისტენტად.

1993 წელს გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მუშაობდა ჰართფორდის უნივერსიტეტში, მარკეტინგის და მენეჯმენტის დეპარტამენტის ასისტენტად.

1995-1998 წლებში სწავლობდი აშშ ჰართფორდის უნივერსიტეტში, მიიღო მაგისტრის ხარისხი მენეჯმენტში.

1998-1999 წლებში მუშაობდა ნიუ-იორკში ამერიკული კომპანია ,,ორბიტელის", ჯერ პროექტის მენეჯერად, ხოლო 2000 წლიდან ამავე კომპანიის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორად.

2000 წლის მაისიდან დაიკავა ,,კავკასიის ბიზნესის სკოლის" დეკანის თანამდებობა.

ამჟამად არის ”კავკასიის უნივერსიტეტის” პრეზიდენტი.

2002-2004 წლებში იყო ქ. თბილისის ვიცე-პრემიერი სოციალურ საკითხებში

2004-2008 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ჯერ საგარეო საქმეთა, ხოლო შემდეგ განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარის მოადგილე.

აქვს დოქტორის ხარისხი საქართველოს ისტორიაში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და ეკონომიკაში (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი). კითხულობს ლექციებს საქართველოს ისტორიასა და მენეჯმენტში.

2014-2017 წლებში იყო უნივერსიტეტების პრეზიდენტების საერთაშორისო ასოციაციის (IAUP) არჩეული პრეზიდენტი

არის უნივერსიტეტების პრეზიდენტების საერთაშორისო ასოციაციის (IAUP) პრეზიდენტი; ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო მმართველობის სკოლებისა და ინსტიტუტების ქსელის (NISPAcee) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი; ვესტმინისტერის კოლეჯის მმართველთა საბჭოს წევრი (კანადა);
ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაციის (EPLO) ბორდის წევრი და ევროპის სამართლის და სახელმწიფო მართვის სკოლის მმართველობითი საბჭოს წევრი.

მიღებული აქვს ჯილდო საფრანგეთის მთავრობისგან ფრანგული ენისა და ცივილიზაციის პოპულარიზაციისათვის.

დაჯილდოებულია ზემო ავსტრიის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტის ღირსების ორდენით.

არის ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და საპრეზიდენტო ბრწყინვალების ორდენის კავალერი.

ფლობს ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და თურქულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.